ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №32

23 ივლისი, 2019 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
4. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
5. ირაკლი ნადირაძე - კომისიის წევრი;
6. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031920332-03; 22.07.2019);**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციისა და ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად“ გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (№C37466/1413/9665) დანართ B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) განსახორციელებელ ცვლილებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-031919875-03, 17.07.2019);**

3. „აუქციონში გამარჯვებულ შპს „ქართლიენერჯი“-სთვის (ს/კ: 404561568) ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენებისთვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-031919381-03; 12.07.2019);**

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯი“-ს (ს/ნ: 404561568) შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებულ იჯარის შესახებ N ე-455-1-23227 ხელშეკრულების ცვლილების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-031919381-03; 12.07.2019);**

5. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031918454-03, 03.07.2019);**

6. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №42-40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031918565-03, 04.07.2019).**

სხდომას თავმჯდომარეობდა - თედო ისაკაძე.

სხდომა წარიმართა ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, განათლებისა და კულტურის, სარევიზიო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიებთან ერთად.

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე-** თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ვასილ აბულაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **დავით ჯაიანი** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **ნინო კვეტენაძე** - სსიპ ,,ქონების მართვის სააგენტო“.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

თ.ისაკაძე - დღეს სხდომაზე განვიხილავთ დღის წესრიგით გათვალისწინებულ ექვს მნიშვნელოვან საკითხს, გთხოვთ მომხსენებლებს წარმოადგინოთ პროექტები.

საკითხი 1 – „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018

წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031920332-03; 22.07.2019) :**

გ.თალაკვაძე - მოგესალმებით, გაგაცნობთ დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხს. დედაქალაქის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 169,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 1 075 270,8 ათასი ლარით.

ცვლილებები განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში“ სახსრებიდან, პროექტის - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ხელოვნური ტყეების გარდაქმნა ბუნებრივ ტყეებად“ განხორციელებისთვის გრანტის სახით მისაღები 159,4 ათასი ლარის ასახვის აუცილებლობიდან. ასევე, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და ააიპ „Rockeffeler Philanthropy advisors, Inc- ფონდს“ შორის ,,100 მედეგი ქალაქის ინიციატივის“ ფარგლებში გაფორმებული გრანტის ხელშეკრულებაში, რაც ითვალისწინებს 2019 წელს დამატებით 9,6 ათასი ლარის მიღებას.

ამასთან, ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ქვეპროგრამებში გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე 13 091,9 ათასი ლარი გადანაწილდა სხვადასხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე მათ შორის:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) იზრდება 262,0 ათასი ლარით;

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია კოდი (010202) იზრდება 4,556,2 ათასი ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031920332-03; 18.07.2019)** განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

საკითხი 2 - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციისა და ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად“ გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (№C37466/1413/9665) დანართ B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) განსახორციელებელ ცვლილებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-031919875-03, 17.07.2019):**

დ.ჯაიანი - ხელშეკრულების მიზანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს დაეხმაროს მთლიანი ქალაქის საავტობუსე ქსელის შესწავლასა და რესტრუქტურიზაციაში, ასევე ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების მოდელების დამუშავებასა და ერთიანი სისტემის შექმნაში.

2019 წლის 24 ივნისს ,,სისტრა-სპექტრუმის“ კონსორციუმმა წარმოადგინა ხელშეკრულების ცვლილება საგრანტო ხელშეკრულებას თანდართული საკონსულტაციო კონტრაქტის (დანართი B) ვადის გახანგრძლივების და შესაბამისად, შესასრულებელი დავალებების ჩაბარების ვადების ცვლილების თაობაზე.

ხელშეკრულების ცვლილებით, საკონსულტაციო მომსახურების ვადად განისაზღვრება 2019 წლის 29 ნოემბერი. ვადის ცვლილების გამო, ახლებურად გადანაწილდება შესასრულებელი დავალებებიდან გამომდინარე ანგარიშების ჩაბარების თარიღები და აქტივობათა ეტაპები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციისა და ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად“ გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (№C37466/1413/9665) დანართ B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) განსახორციელებელ ცვლილებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-031919875-03, 17.07.2019).**

საკითხი 3 - „აუქციონში გამარჯვებულ შპს „ქართლიენერჯი“-სთვის (ს/კ: 404561568) ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენებისთვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-031919381-03; 12.07.2019):**

ნ.კვეტენაძე - წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიხედვით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები პირდაპირი განკარგვის წესით (საუბარია 12 ლოკაციაზე) 10 წლის ვადით გადაეცემა შპს ,,ქართლიენერჯი“-ს სარგებლობის უფლებით, ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვრება 1 კვ.მ - 4 ლარით. აღსანიშნავია, რომ ხსენებული 12 ლოკაცია სწორედ მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად არის შერჩეული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „აუქციონში გამარჯვებულ შპს „ქართლიენერჯი“-სთვის (ს/კ: 404561568) ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენებისთვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-031919381-03; 12.07.2019)** განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

საკითხი 4 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ,,ქონების მართვის სააგენტოსა“ და შპს „ქართლიენერჯი“-ს (ს/ნ: 404561568) შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებულ იჯარის შესახებ N0-455-1-23227 ხელშეკრულების ცვლილების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-031919381-03; 12.07.2019):**

ნ.კვეტენაძე - წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად, ცვლილება შედის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებულ ხელშეკრულებაში და იზრდება სერვისის მიწოდების ვადა 6 თვიდან არაუგვიანეს 9 თვემდე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯი“-ს (ს/ნ: 404561568) შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებულ იჯარის შესახებ N0-455-1-23227 ხელშეკრულების ცვლილების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების პროექტი **(12-031919381-03; 12.07.2019)** განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

საკითხი 5 - „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031918454-03, 03.07.2019):**

ვ. აბულაძე - პროექტის თანახმად, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გზების სატრანსპორტო საშუალებებისგან განტვირთვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობით, სარგებლობის უფლებით გაიცემა სამეწარმეო საქმიანობის მიზნით გამოსაყენებელი ელექტრო ველოსიპედების, მოპედების და ელექტრომრავიანი სხვა მსგავსი სატრანსპორტო საშუალებების პარკირებისთვის განსაზღვრული ლოკაციები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031918454-03, 03.07.2019)** განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

საკითხი 6 - „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №42-40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031918565-03, 04.07.2019):**

ვ. აბულაძე - წარმოდგენილი პროექტით უფასო პარკირებით სარგებლობის უფლება ეძლევათ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს თითოეული მიწის ნაკვეთის საკუთრებისას მათ მიერვე წინასწარ განსაზღვრულ ორ სატრანსპორტო საშუალებაზე. თანასაკუთრების შემთხვევაში ამ უფლებით სარგებლობის საშუალება ექნება თითოეულ მესაკუთრეს, მათ მიერვე წინასწარ განსაზღვრულ ორ სატრანსპორტო საშუალებაზე. რაც შეეხება, შენობა-ნაგებობების მესაკუთრეებს უფასო პარკირებით სარგებლობის უფლება ეძლევათ თითოეული შენობა-ნაგებობის საკუთრებისას - მათ მიერვე წინასწარ განსაზღვრულ ორ სატრანსპორტო საშუალებაზე (მიუხედავად ამ

შენობა-ნაგებობების მესაკუთრეთა რაოდენობისა), ხოლო იმ შემთხვევაში თუ ფიზიკური პირის საკუთრებაში იქნება როგორც მიწის ნაკვეთი, ისე შენობა-ნაგებობა, უფასო პარკირებით სარგებლობის უფლება ეძლევათ თითოეულ მათგანზე მათ მიერვე წინასწარ განსაზღვრულ ორ-ორი სატრანსპორტო საშუალებაზე.

პროექტით ასევე განსაზღვრულია, რომ თუ ფიზიკური პირი აღარ იქნება ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრე, რომლის საფუძველზეც გაიცა უფასო პარკირებით სარგებლობის უფლება, ეს უფლება მას უუქმდება შესაბამისი ინფორმაციის მიღებისთანავე.

ფიზიკური პირი ზ/ა შეღავათით სარგებლობის მიზნით, რეგისტრაციას გადის ელექტრონული მისამართის: www.parking.tbilisi.gov.ge მეშვეობით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №42-40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031918565-03, 04.07.2019) განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თედო ისაკაძე